ვებგვერდით სარგებლობის წესები და პირობები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს, ა(ა)იპ საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის (შემდგომში – wasteless) ქოლგის ქვეშ არსებული, მის წევრებთან და გარეშე პირებთან საკომუნიკაციო ელექტრონული პლატფორმის (ვებგვერდი) : www.wasteless.ge სარგებლობის წესებს და პირობებს

წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს, ერთი მხრივ, ასოციაციის წევრობის მსურველს, ასოციაციის წევრს, სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირსა და მეორე მხრივ ა(ა)იპ საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციას შორის სამართლებრივ და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რაც გამოიხატება შემდეგში: wasteless-ის ვებგვერდზე ასოციაციის წევრად რეგისტრირება და ხელშეკრულების გაფორმება, wasteless-სა და მის წევრს შორის კომუნიკაციის გამარტივება, wasteless-ის წესდებით დადგენილი მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიწოდება და რეციკლირების შენატანთან დაკავშირებით ელექტრონული ინფორმაციის მიმოცვლა (ინვოისი და სხვა) და სხვა.

ა(ა)იპ საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია (ს/ნ 406350112) რეგისტრირებული მისამართი - ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N101.

ა(ა)იპ საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია წინამდებარე სარგებლობის წესებსა და პირობებში, კონფიდენციალურობის პოლიტიკაში მოხსენიებული იქნება როგორც wasteless.

„wasteless"-ის ვებგვერდით სარგებლობის წესები და პირობები, მასში შეტანილ ცვლილებებთან და სხვა რეგულაციებთან ერთად წარმოადგენენ ერთიან დოკუმენტს.

ვებგვერდზე რეგისტრაციის დროს მომხმარებელი ეთანხმება და აღიარებს წინამდებარე წესებსა და პირობებს, კონფიდენციალურობის პოლიტიკას, ასევე აცხადებს თანხმობას, გავრცელდეს მასზე მათი სამართლებრივი ძალა.

ტერმინთა განმარტება

წინამდებარე წესებსა და პირობებში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა:

- wasteless (ბრენდირებული სახელწოდება) - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული ა(ა)იპ საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია საიდენტიფიკაციო ნომერი: 405430494, რეგისტრირებული: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 101.
- www.wasteless.ge - wasteless–ის საკუთრებაში არსებული ელექტრონული პლატფორმა.
- **მომხმარებელი** - სამოქალაქო კოდექსით და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული იურიდიული პირი და მისი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან/და წარმომადგენლობაზე საამისოდ უფლებამოსილი ნებისმიერი ფიზიკური პირი შესაბამისი მინდობილობით და ფიზიკური/იურიდიული პირი.
- **მომხმარებლის თანხმობა** - წინამდებარე დოკუმენტის მომხმარებლის მიერ გაცნობისა და მისი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან/და მომხმარებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი ნებისმიერი ფიზიკური პირის პერსონალური ხასიათის მონაცემების დამუშავების შესახებ გამოხატული ნება.
- **მესამე პირი** - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო დაწესებულება,რომელიც განიმარტება როგორც მომხმარებელი
- **რეგისტრაცია** - პირადი ანგარიშის შექმნა.

- **ანგარიში** - მომხმარებლის მიერ wasteless -ზე რეგისტრირებული პირადი გვერდი.
- **ავტორიზაცია** - რეგისტირებული მომხმარებლის ანგარიშში შესვლა

ვებგვერდზე ანგარიშის გახსნით მომხმარებელს ეძლევა საშუალება, გაეცნოს და მიიღოს, როგორც wasteless-ის პოტენციურმა წევრმა ყველა საჭირო ინფორმაცია წევრად გახდომისთვის, ასევე განახორციელოს საიტზე მოთხოვნათა შესაბამისად, დოკუმენტაციის მიმოცვლა, ასოციაციის საქმიანობიდან გამომდინარე

რეგისტრაცია და შესვლა

Wasteless-ში გაწევრიანებისას, საქართველოს ნარჩენების მართვის კანონმდებლობით განსაზღვრული მწარმოებელი პირი (შემდგომში - მომხმარებელი), პირველ ეტაპზე ახორციელებს ვებ-გვერდზე რეგისტრაციას, რა დროსაც ავსებს სავალდებულო გრაფებს (ველები) და ეთანხმება, ვებგვერდის კონფიდენციალურობის/ სარგებლობის წესებს და პირობებს/ ასოციაცის წევრად გახდომის და წევრობის პირობების მარეგულირებელ აქტებს და ელექტრონული ფორმით დოკუმენტაციის გაფორმების და მიმოცვლის წესს.

მომხმარებლის რეგისტრაციის გავლის შემდგომ, საქართველოს ნარჩენების მართვის კანონმდებლობით განსაზღვრული მწარმოებელი პირი ახორციელებს წევრობის რეგისტრაციას, მის საქმიანობას დაქვემდებარებული შესაბამისი ნარჩენის ავტორიზებულ მიმართულებაზე (ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობა/საბურავი/ზეთი/ბატარეები და აკუმულატორები), რა დროსაც ავსებს სავალდებულო ველებს და ველების შევსების და დადასტურების შემდგომ, მხარეთა შორის ფორმდება ელექტრონული წესით ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება მწარმოებელი პირის ასოციაციის წევრობა შესაბამისი ავტორიზებულ მიმართულებაზე.

მომხმარებელს ვებგვერდის პირადი კაბინეტით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ Wasteless -ის წევრად გახდომის შემდგომ

უკვე რეგისტრირებულ მომხმარებლის მიერ სისტემაში შესვლა ხორციელდება: მომხარებლის სახელისა და პაროლის მითითებით.

მომხმარებელი ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ:

- მის მიერ მითითებული ინფორმაცია არის სრული და სწორი;
- იგი არის 18 წელს მიღწეული, სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი და წარმოადგენს მომხარებლის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს ან/და გააჩნია საამისო მინდობილობა (მინდობილობის ატვირთვით);
- არ გამოიყენებს სხვა პირის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას Wasteless -ის ვებგვერდზე რეგისტრაციის მიზნით;
- არ გამოიყენებს სახელს, რომელიც შესაძლოა დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი აღმოჩნდეს ნებისმიერი სხვა პირისათვის;
- არ გამოიყენებს ვებგვერდს ყალბი ინფორმაციის გავრცელების მიზნით;
- არ გამოიყენებს ვებგვერდს სხვა კომპანიის, კომპანიის თანამშრომლის ან ნებისმიერი სხვა პირის განსახიერების მიზნით;
- • არ დაარღვევს სხვა პირის უფლებებს, კანონსაწინააღმდეგო და ზიანის მიმყენებელი ქმედებით;

- არ გამოიყენებს მოწყობილობას, პროგრამას, რომლის მიზანი არის ინფორმაციის მოპოვება ვებგვერდიდან ან/და ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა;
- დაიცავს საავტორო და მომიჯნავე უფლებებს, არ განახორციელებს Wasteless -ზე არსებული ინფორმაციის: ლოგო, პიქტოგრამა, სურათი, გრაფიკა, გამოსახულება, პატენტი, სასაქონლო ნიშნები, დიზაინის და სხვა ნებისმიერი სახის ინტელექტუალური საკუთრების უნებართვო გამოყენებას, დამუშავებასა და გამოქვეყნებას, Wasteless -ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
- • არ გამოიყენებს სხვა მომხმარებლის ანგარიშს;
- • არ შეეცდება მოიპოვოს წვდომა სხვა მომხმარებლის ავტორიზაციის ინფორმაციაზე;
- • არ განახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის Wasteless -ის გამართულ ფუნქციონირებას;
- • არ განახორციელებს ქმედებას, რომელიც იკრძალება მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე ხელშეკრულებითა და Wasteless -ის კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკით.

პირადი ანგარიშის დახურვა და სარგებლობის შეზღუდვა

თუ Wasteless მიიჩნევს, რომ მომხმარებლის მხრიდან დაირღვა წინამდებარე წესები და პირობები ან მომხმარებელი რეგისტრირებულია ყალბი ინფორმაციის მითითებით, იგი უფლებამოსილია დახუროს წვდომა და შეზღუდოს პირადი ანგარიშით სარგებლობა ცალმხრივად ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. მომხმარებელი მსგავსი ტიპის შეტყობინების მიღების შემთხვევაში უნდა დაუკავშირდეს Wasteless -ს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე ან/და ტელეფონზე:info@wasteless.ge/599224070

პასუხისმგებლობის შეზღუდვა

Wasteless შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად უზრუნველყოფს თავდაცვის შესაბამისი მექანიზმების შემუშავებას, თუმცა არ არის პასუხისმგებელი პლატფორმაზე დაცული მონაცემების არასანქცირებულ წვდომაზე, მესამე პირების მიერ მიყენებულ ზიანზე, მათ მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებულ მომსახურებაზე.

მომხმარებელი ვებგვერდზე რეგისტრაციით ადასტურებს, რომ არის ქმედუნარიანი 18 წელს მიღწეული პირი, ასევე რეგისტრაციას დაქვემდებარებული Wasteless-ის წევრის მომხარებლის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს ან/და გააჩნია საამისო მინდობილობა (მინდობილობის ატვირთვით) და ვებგვერდით სარგებლობს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

Wasteless პასუხისმგებელი არ არის, რომ ვებგვერდი მომხმარებლისათვის იქნება მუდმივად ხელმისაწვდომი და არ იძლევა გარანტიას, რომ ვებგვერდს არ ექნება პროგრამული ხარვეზები, ვირუსები ან/და სხვა ნებისმიერი შეცდომა.

Wasteless იხსნის სრულ პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობის შედეგად დამდგარ ზიანზე, ასევე იმ შემთხვევებზე, როდესაც მესამე პირისათვის გახდა ცნობილი მომხმარებლის ავტორიზაციისათვის საჭირო ინფორმაცია.

Wasteless გამორიცხავს როგორც თავის, ასევე მისი ყველა თანამშრომლის ნებისმიერ პასუხისმგებლობას წინამდებარე დოკუმენტისა და მოქმედი კანონმდებლობის მომხმარებლის მიერ ბრალეული დარღვევის შემთხვევაში.

Wasteless იხსნის სრულ პასუხისმგებლობას ნებისმიერი სახის ზიანისათვის ან/და შეფერხებისათვის, რომელიც შესაძლებელია გამოწვეულ იქნას მესამე პირების მონაწილეობით - ინტერნეტ პროვაიდერების, მობილური კომპანიების და სხვა შეფერხებული მუშაობით.

შეზღუდვები ვებგვერდის გამოყენებისას

ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს ან მოიხსნას წინასწარი შეტყობინების გარეშე. Wasteless მომხმარებელს არ მიაწვდის ან არ გააფორმებს სხვა დამატებითი ხასიათის ხელშეკრულებას, გარდა წევრობისა და წევრობასთან დაკაშირებული ვალდებულებების შესრულებისა, რომელიც მიაჩნია, რომ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

მომხმარებელს ეკრძალება ვებგვერდის არაკანონიერი მიზნებისთვის გამოყენება, მათ შორის, Wasteless-ს სისტემებში არასანქცირებული შეღწევა, ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის არასათანადოდ გამოყენება ან სხვაგვარი ქმედება, რომელმაც შეიძლება პირდაპირი ან ირიბი ზიანი მიაყენოს Wasteless -ს კანონით დაცულ ინტერესებს.

მარკეტინგი

ვებგვერდზე რეგისტრაციის დროს მომხმარებელი ეთანხმება სარეკლამო, წამახალისებელი მასალების, მომხმარებლისათვის საინტერესო მომსახურების, პროდუქციისა და სერვისების გამოწერას. თანხმობის შემთხვევაში მომხმარებელი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებს ვებგვერდის სიახლეებს, სხვადასხვა შეთავაზებასა და ინფორმაციას.

მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს Wasteless-ს ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინებით განაცხადოს უარი მარკეტინგული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე.

საავტორო უფლებები

ვებგვერდზე განთავსებული ნებისმიერი ტექსტი, გრაფიკული და ანიმაციური გამოსახულებები ექსკლუზიურად ეკუთვნის Wasteless -ს.

Wasteless -ს სასაქონლო ნიშნის ნებისმიერი სახით გამოყენება, Wasteless -ს წერილობითი ფორმით გამოხატული წინასწარი თანხმობის გარეშე, მკაცრად აკრძალულია. მომხმარებელს არ აქვს უფლება, გამოიყენოს Wasteless-ს სასაქონლო ნიშანი, ვებგვერდზე განთავსებული გრაფიკული გამოსახულებები ნებისმიერ პროდუქტთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აღრევა. მომხმარებელს არ აქვს უფლება, გამოიყენოს ისინი იმგვარად, რომ დაამციროს ან შეურაცხყოფა მიაყენოს Wasteless -ს რეპუტაციას. ამგვარი დარღვევის შემთხვევაში, Wasteless უფლებას იტოვებს, მიმართოს სამართლებრივი უფლებების დაცვის საშუალებებს. მომხმარებელი პასუხისმგებელი იქნება Wasteless -სათვის მიყენებულ მატერიალურ და არამატერიალურ ზიანზე, ზიანი შესაძლოა მოიცავდეს Wasteless -ს მიერ ამ ზიანის აღმოფხვრისთვის გაწეულ ხარჯებს, მათ შორის, საადვოკატო მომსახურებისა და სასამართლოს ხარჯებს.

ვებგვერდზე რეგისტრაციით მომხმარებელზე არ გადადის არანაირი საავტორო უფლება.

Wasteless პატივს სცემს სხვა პირების საავტორო უფლებებს და მოუწოდებს მომხმარებელს დაიცვას Wasteless -ს საავტორო უფლებები.

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი საავტორო უფლებების მესაკუთრეა და თვლის, რომ მისი საავტორო უფლების დაცვის ობიექტი რაიმე ფორმით, კანონმდებლობის დარღვევით განთავსდა Wasteless-ზე, მომხმარებელი უნდა დაუკავშირდეს Wasteless-ს ელექტრონულ ფოსტაზე და მიუთითოს დანიშნულებაში საავტორო უფლების დარღვევა.

მოქმედების ვადა და შეწყვეტა

წინამდებარე წესები და პირობები ძალაში შედის მომხმარებლის მიერ თანხმობის გამოცხადების შემდეგ და მოქმედებს მომხმარებლის მიერ Wasteless წევრობის გაუქმებამდე.

მესამე მხარე

Wasteless იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას სხვა ვებგვერდებთან მიმართებით, რომლებიც შესაძლებელია გარე ბმულის სახით განთავსებული იყოს Wasteless -ს ვებგვერდზე. სხვა ვებგვერდის შინაარსი, წესები და პირობები, კონფიდენციალურობის პოლიტიკა შესაძლოა განსხვავდებოდეს წინამდებარე პოლიტიკისგან. შესაბამისად, Wasteless მომხმარებელს მოუწოდებს გაეცნოს გარე ბმულის სახით მითითებული ვებგვერდის გამოყენების პირობებსა და კონფიდენციალურობის პოლიტიკას.

მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

წინამდებარე წესები და პირობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

მხარეები თანხმდებიან რომ დავის შემთხვევაში, შეეცდებიან მოლაპარაკებით გადაწყდეს წარმოშობილი უთანხმოება. მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საერთო სასამრთლოების სისტემაში შემავალ სასამართლოს, განსჯადობის შესაბამისად.

წინამდებარე წესებისა და პირობების რომელიმე ნაწილის ბათილად ცნობა არ გამოიწვევს სხვა ნაწილის ბათილად ცნობას.

ცვლილებები და დამატებები

Wasteless იტოვებს უფლებას, წინამდებარე დოკუმენტში ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, ამავე ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით, შეიტანოს ცვლილებები ან/და დამატებები მომხმარებლის შემდგომი დამატებითი თანხმობის გარეშე. ცვლილებების/დამატებების განხორციელების შემდეგ, Wasteless მომხმარებლის მიერ ვებგვერდით სარგებლობის გაგრძელებას მიიჩნევს მომხმარებლის თანხმობად.